პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

„საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის კომპასი“
COMPASS-GE

განხორციელების ვადა: 01.11.2024 - 31.10.2028

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 500 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 581 802

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Global Initiative on Psychiatry-Tbilisi

Funded by the European Union

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/Global-Initiative-on-Psychiatry-Tbilisi

პროექტის ვებსაიტები: fgip-global.org/home/about/organisation/gip-tbilisi/

პროექტის აღწერა:

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) სისტემის გაუმჯობესებას მისი საჭიროებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. პროექტი ფოკუსირებულია ისეთი მნიშვნელოვანი რეგულაციური ჩარჩოს შექმნაზე, როგორიცაა ფჯ კანონის და პოლიტიკის დოკუმენტები, და, ასევე, ხელს უწყობს უფლებებზე-დაფუძნებული ფჯ დაცვის სისტემის დანერგვას ყველა დონეზე - პრევენცია, მკურნალობა-მართვა და აღდგენა.
საქართველოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის კუთხიდან, პროექტი ხელს შეუწყობს
-ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკურ ჯანმრთელობას (სტრატეგიის 1 ამოცანა) ტრანსდიაგნოტური (ტდ) ინტერვენციების გაზრდით პრევენციასა და ადრეული ჩარევაში, და ამ ჯგუფთან მომუშავე ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების შესაძლებლობების/კომპეტენციების გაძლიერებით;
-ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მომხმარებელთა უფლებების დაცვა და სტიგმის შემცირება (ამოცანა 2) - სერვისის მომხმარებელთა მოძრაობის გაძლიერებით და სხვადასხვა ანტისტიგმა აქტივობის განხორციელებით;
-სათემო სერვისების ხარისხის გაზრდით (თემზე დაფუძნებული ზრუნვა) (ამოცანა 3) სხვადასხვა ინოვაციური, განახლებული სერვისის განვითარებით, როგორცაა კრიზისული ჩარევა; ადიქციის ინტეგრირება ფსიქიკურ ჯანმრთელობაში სამოქმედო გეგმის და შესაბამისი შესაძლებლობების შემუშავებით(ამოცანა 4);
-ფჯ სისტემაში ადამიანური რესურსების განვითარება (ამოცანა 5) შესაბამისი სასწავლო პაკეტების შექმნით და ფჯ. პერსონალის ჩართვით ონლაინ და პირისპირ ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში;
-ფჯ. სისტემის რეგულირების, მართვის, კონტროლის და ფინანსური რესურსების გაუმჯობესება (ამოცანა 6)

მოსალოდნელი შედეგები:

მოსალოდნელი შედეგები:
1.მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავება ფსიქიკურ ჯანმრთელობაში გაძლიერებულია
2.ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენცია-მკურნალობა/მართვა-აღდგენის ჯაჭვში მომსახურების მიწოდება გაუმჯობესებულია
3.ხელმისაწვდომობა თანაბარ, ხელმისაწვდომ და უფლებებზე დაფუძნებულ ზრუნვაზე გაუმჯობესებულია.